

# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით - ათავისუფლებსაა  
 ათავისუფლების გზით - ათავისუფლებსაა



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
 გამოდის 1903-1905, 1915-1921 წწ. აღდგენილია 1989 წელს.

№34 (1472)

29.VII - 1.VIII 1996 წელი

## კითხვა:

- თვლით თუ არა, რომ 1991-92 წლის მოვლენები იყო დანაშაულებრივი?

## პასუხი:

განტანობივად:

გ ა ნ კ ი თ ხ ვ ა  
 უ ე ე ხ ე ბ ა თ  
 ც ო ც ხ ა ლ თ ა ც  
 დ ა მ კ ვ დ ა რ თ ა ც

მე-2 გვ.



ცხვირი გავს?  
 - გავს!  
 უღვაწები გავს?  
 - გავს!  
 საერთოდ გავს?  
 - გავს!  
 რეაქციური სტალინის „ოკუპირებული“ გვერდები და ინტერვიუ ჩამოვარდნილთა.

მე-5 გვ.

**დუდაევი,  
 ვგონებთ,  
 პარტილა  
 ცოცხალია**

ეს საინტერესო მასალა იხილეთ

მე-5 გვ.

**ზოგი მწარე და  
ზოგიც  
ნელ-თბილი  
უპიტიხვა  
ბატონ ვახტანგ  
გოგუაძეს**

# ვახტანგ გოგუაძე: ბანკიტხვა უმეხებათ ცოცხალთაც და მკვდართაც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31,32,33

**— თვლით თუ არა, რომ 1991-92  
წლის მოვლენები იყო  
დანაშაულებრივი?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო დანაშაულებრივი, ტრაგიკული, ყველა უბედურების გამომხატველი. მაგრამ თუ როგორ განაწილდება ამ დანაშაულის ცოდვა-სასჯელი, ამას დრო გვიჩვენებს. რაც არ უნდა ვეცადოთ ჩვენ-ჩვენი მატყინებები შევქნათ ან ძალად ჩავეწეროთ მატყინებში, ეგ არ გამოვა. ჭეშმარიტად აპოკალიფსური ეპოქაა, ყველა მისი წინარე მახასიათებელი ნიშნებით. იმ ყალბ ისტორიოგრაფიულ მანიაკულურ თვითგანდიდებასაც გადაგვახევეს თავზე ღმერთი, რასაც ჩვენ-ჩვენსკენ ვითხოვით. განკითხვა შეეხება ცოცხალთაც და მკვდართაც, ნიშნავს, — ისტორიაც დაიფრთხება ბევრი სიცრუისაგან. როცა ვუყურებ, როგორ შუქდება სახელმწიფოებრივად აფხაზეთის მოვლენები, კიდევ ერთხელ

ვრწმუნდები, რომ „საშინელი სამსჯავრო“ კარს მოგვადგა. კარგა გამარჯვებულად გამოვიყურებით ერთმანეთის თვალში, მაშინ, როცა საშინლად დავმარცხდით. სატანამ დააბნელა ცნობიერება. სატანა თიშავს, უფალი აერთიანებს. ბოლო სიტყვას ღმერთი ამბობს და არა სატანა. ასე ვიცოდი, გენერალი თავს რომ გამოიჩინდა, ძლივს ძლივს მიუმატებდნენ ლეიტენანტობის რანგს — გენერალ-ლეიტენანტად. ჩვენში ასეა — ლეიტენანტ-გენერალი და არა გენერალ-ლეიტენანტი. ჯილდოები და ჯილდოები, თანამდებობები „გამარჯვებისათვის“, ამდენად არ გვაბატებებს არსთა გამრიგე. სამოქალაქო ომი ყველაზე დიდი საშინელებაა, ძმისმკვლელის სინდრომი, კენიზმის სული წამლავს ერის სულსა და ხორცს.



მართლაც გადადგა ნაბიჯი, რათა პატრიოტული ძალებთან ითანამშრომლოს და არ დაეწყია ჭინკებზე ნადირობა. მე არ შემიძლია კეთილი შურით არ აღვნიშნო რუსი პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის გრძნობის შესახებ. მათ შესძლევს ასე თუ ისე დაეძლიათ პირადი ამბიციები. ადვილი არ არის პოლიტიკოსის საკუთარ თავზე მეტად სამშობლო უყვარდეს. პოლიტიკოსის პოლიტიკური დაავადება ისაა, — იძახის, სამშობლოსა და ხალხის გულისთვის ვიკლავ თავსო, სინამდვილეში იშვიათად აღწევს თავს თავიანთ ეგოისტურ-პოლიტიკურ ამბიციურ ინტერესებს. როცა რუსეთის დაბრისპირებულმა ძალებმა ნახეს, რუსეთი განდგურების პირას მიიყვანეს „კეთილი დემოკრატიის“ საერთაშორისო მასწავლებლებმა, რუსებმა თვალი გაახილეს და აპირებენ წელში გაიმართონ. ისე ღრმადაა რუსეთში ანტირუსული ძალები შესული, ეს მათ გაუძნელდებათ, მაგრამ მაინც გაიმარჯვებენ. რუსეთს გადაარჩენს სულიერება, ნიჭი, კულტურა და პატრიოტიზმის გრძნობა. მოერევიან შავ ძალებს, რომელიც დღესდღეობით გაცილებით ძლიერია, ვიდრე რუსეთი. ელცინის რომ დაეხვრიტა ნახევარი რუსეთი, ისინი მთელ მსოფლიოს თავიანთი უნივერსალური საინფორმაციო საშუალებებით დაარწმუნებდნენ, რომ ეს იყო დემოკრატიისა და რეფორმების გატარებისათვის საჭირო და სწორი ღონისძიება. კომუნისტური იდეოლოგია იმდენად ბრწყინვალე იყო, ყველა მის ნათქვამს ჩვენში ხალხი უკულმა აღიქვამდა. ყველაზე საზიზღარის შესახებ როცა იტყოდნენ კომუნისტები, საზიზღარიაო, ხალხი ფიქრობდა ე.ი. კარგი იქნებაო. ამიტომ იმ საერთაშორისო ბნელი ძალების გინებით, მათდამი ჩვენში დიდი სიმპათიებია შემორჩენილი, მაგრამ ეს სიმპათიებიც ილევა, უცხოური იმპერიალიზმი საუცხოო იმპერიალიზმი გვეგონა. ის ძალები ყველაზე საშინელ ტირანს დემოკრატს დაარქმევენ, თუ მათინტერესებშია. „Политика, шалва Исакович, грязное дело“ — უთხრა შალვა ნუცუბიძეს იოსებ სტალინმა. ეტყობა,

არც ოკეანის გაღმა და არც გამოღმა, პოლიტიკაში ნაკლებად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტებას. დიდძალი ფული დაიხარჯა და იხარჯება პატრიოტიზმი კოსმოპოლიტიზმით რომ შეცვალონ, სამშობლოს სიყვარული, ეროვნული გრძნობები სასაცილოდ აქციონ, ამიტომაც ჭირდებათ ამ ძალებს კულტურისა და ტრადიციების გადაგვარება. აი, ეს განუმარტეს პატრიოტიზმმა რუსეთს. ეს გაიაზრეს და ჩემი მცდარი პროგნოზის ნაცვლად, რომ იქ შეიძლება ორივე მხარე დამარცხდესო, გგონებ, პირიქითაა, ორივე მხარე გაიმარჯვება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც, უახლოესი ეტაპი ისევე გართულებებისაკენ წავა, მაგრამ რუსეთს აქვს სული. ეს სული კვლავ ოხსნის მას. რუსეთში ხალხმა აჩვენა, რომ ხალხს უყვარს თავისი სამშობლო, მისი ყურში ხელის მოკიდებისა და გაბრწყინების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მათ აქვთ სოლიდარობისა და კოლექტიურობის საჭირო სულისკვეთება. ჩვენში კი ძლიერი იყო და არის ინდივიდუალიზმი. ამიტომ კენიზმის მარცვალს როგორც კი გადაადგებენ, აბიზინდება მწვანე ჭეჭილად. ჩვენში „გათიშე და იბატონე“ — ყველაზე ადვილად გასახორციელებელი ლოზუნგია. მაგრამ ჩვენი ხალხიც მიხვდება, რასაც უნდა მიხვდეს, თუმც მანამდე ძნელი და უმძიმესი გზაა. მიხვდება არა სიტყვის მემკვიდრებით, არამედ რეალური მდგომარეობის გამო. ორიოდ სიტყვა ზიუგანოვზე. ჩვენში თავისუფალი პრესის მემკვიდრებით მაინც მოხერხდა ზიუგანოვის შესახებ გარკვეული საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბებულიყო. იყო, ცხადია, მცდელობა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, შექმნილიყო მის შესახებ კომუნისტურ-ურჩხულის სახე. მაგრამ ეს კაცი, უკვე მერამდენეგზის ვიმეორებ, არის პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. მე არ მქონია მასთან ახლო ურთიერთობები, მხოლოდ პეტერბურგში ვხვდებოდით, მოუხმე-

**— რუსეთში მიმდინარე არჩევნები  
სომ არ არის იმ აზრის დასტური,  
რომ დემოკრატიის თვალსაზრისით  
რუსეთმა ბაზმასწრო. ბანა  
ზიუგანოვს გაუბედავს ვინავე, რომ  
დარბაზი არ ათხოვოს და უმხვედრა  
არ ჩაატარებინოს?**

— კითხვა რუსეთის არჩევნების პერიოდში (პირველ-მეორე ტურს შორის) არის დასმული. მაგრამ ისეა იგი მოცემული, რომ დღეს უფრო საინტერესოა. ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. არჩევნები რუსეთში, რა თქმა უნდა, არათანაბარ პირობებში ჩატარდა, მაგრამ, წინააღმდეგ ჩემი პროგნოზისა, იგი კარგად დამთავრდა. ჩემი პროგნოზი კი ასეთი გახლდათ: „ჩემი აზრით, ამ არჩევნებში ვერაფერი გაიმარჯვებს, ყველა დაპარცდება, იმიტომ რომ უმძიმესი სიტუაცია შექმნეს. რეალური ელექტორატი, ხალხის უმრავლესობა ზიუგანოვის მხარეს არის, მაგრამ ძალა ელცინის ხელშია. იგი პირდაპირ აცხადებს, გინდათ არ გინდათ, მე უნდა ვიყო პრეზიდენტი. ტელევიზია, ძალიან სტრუქტურები მისია, და აქედან გამომდინარე, ალბათ, ელ-

ცინი გავა, ასე მხოლოდ იმიტომ კი არ მოხდება, რომ ეს ობიექტური არჩევნები იქნება, პირიქით, ეს იქნება არჩევნების პაროდია“ (გაზ. ივერია-ექსპრესი №26 (356)). ჩემი სტილი არ არის მარჩიელობა, პოლიტიკურ თამაშში ვინ გაიმარჯვებს. ასეთი პროგნოზებისაგან თავი უნდა შევიკავო. მით უმეტეს იქაურ სინამდვილეს სრულად მოწყვეტილი ვარ. ტელეფონითაც აღარ ველაპარაკები ჩემს ძმაცაც რუსებს, ვიდრე ჩვენს ქვეყნებს შორის სრული ნდობა არ ჩამოვარდება. მე არჩევნებში ზიუგანოვს ვგულშემატკივრობდი. ის არის მართლა დემოკრატი და არა ცრუდემოკრატი. მაგრამ არჩევნების შემდეგ ბატონი ელცინის ღირსება არ შეიძლება არ აღიარო. კერძოდ, არამხოლოდ სიტყვიერი დეკლარირებით. პრაქტიკულად

მეორე გვერდიდან

ნია ჩემი გამოსვლებისთვის, მომისმენია მისი გამოსვლა (უფრო იშვიათად).

პირველად პეტერბურგში თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეის საბჭოს მუშაობაში ჩონაწილეობა მივიღე 1994 წლის 8 თებერვალს. გახსოვთ, ალბათ, ხუთი დღით ადრე თბილისში ჩამოვიდა პრეზიდენტი ელცინი. წინა დღეებში დღეა პრეზიდენტს ლამის ერთსულოვნად მოუწოდებდა — არ წასულიყო თბილისში. აი, ამ დღემის წამყვანი ლიდერები დამხვდნენ ამ საბჭოს სხდომაზე. შესვენების დროს არტურ ჩილინგაროვმა (დუმის ვიცე-სპიკერი) მითხრა, თუ გინდა, წამოდი, დუმელებს შეგახვედრებ, ვესტიბიულში არიანო. წავიდი, უყოყმანო ნაბიჯით რომ მივუახლოვდი, ყველა გაჩუმდა ცივი სახეებით. წრეზე მდგომთ ხელი გავუწოდე ლიმილიანი, დაუძაბავი ქართული უშუალოდ და ვუთხარი: „თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ თქვენზე განაწყნებული ვართ. არა... არა, თქვენ არაფერი იცით ჩვენს შესახებ, ჩვენ თქვენზე. ჩამოდი საქართველოში, ვიჭეფოთ ძველებურად, სად დაიკარგეთ... ვიდრე მათ ხელის ჩამორთმევას ვაგრძელებდი. იქ იყვნენ ზიუგანოვი, ზატულინი და სხვები. საოცარი, ჩემთვის მოულოდნელი ფსიქოლოგიური განტვირთვა მოხდა, რიბკინმა მაშინვე მკლავში გამიყარა ხელი — წამოდი, სადღიზე ერთად დავსდეთო.“

საღამოს დიდ ბანკეტზე შუმეიკომ, ბანკეტის თამადამ, სადღეგრძელო შემომთავაზა. არაუშავსრა მოვახერხე მძობის სადღეგრძელო. სუფრის დამთავრების შემდეგ მოვიდა ჩემთან ზიუგანოვი, კუმტი სახით გამომიწოდა ხელი და მითხრა: „Спасибо вам“. მიბრუნდა, ორი ნაბიჯი გადადგა, მიბრუნდა და ღიმილით, მეგობრული ტონით მეუბნება — „но, оплевывать большую Россию не дадим“. ახლა მეც ნახევარღიმილით შევუბღვირე... გულთბილად მომხვია მკლავზე მკლავი იმის ნიშნად, არ გეწყინოსო. მაგრამ მე ეს ფრაზა გვიან, გაგაანალიზე. მთელი რუსეთი, მთელი საქართველო დაგეშვილი ვიყავით ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში. ახლა, რომ ვუკვირდები, ბევრი რამ მაშინ არ იყო ნათელი. ახლა თანდათან მოვდივართ გონს. მტრობას, ურთიერთ ლანძღვას ვისთვის მოუტანია ხერი.

კიდევ ერთი ეპიზოდი: გასულ წელს (1995 წლის 14 თებერვალი) პეტერბურგში საბჭოს სხდომაა. წინა დღით, დღის წესრიგის დაზუსტებისას, გენერალურმა მდივანმა მითხრა — დუმელები კბენას აპირებენო. უნდა აგვერჩია საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ახალი ვადით. შუმეიკოს ამ თანამდებობაზე ერთი წელი შეუსრულდა, უნდა აგვერჩია შუმეიკო ან ხელოხლო, ან ახალი თავმჯდომარე. დუმელები, რამდენადაც ვიცი, რიბკინს წამოაყენებდნენ. ჩვენ გვინდოდა შუმეიკო. ამიტომ გენერალურმა მდივანმა მთხოვა, — პირველთა საკითხი თავმჯდომარის არჩევნების შესახებ შენ გამოიტანეო. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. საბჭოს სხდომაზე, ტრადიციულად, შუმეიკოს უკან სხდებოდნენ ორივე პალატის წარმომადგენლები — ფედერაციის საბჭოდან და დუმიდან. დაიწყო სხდომა. ვთქვი, თუ გვინდა საპარლამენტო ასამბლეამ იარსებოს, და იგი არსებობს „за счет бедного русского кармана“, მაშინ საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეობა ისევ რუსეთმა უნდა გასწიოს, ისე როგორც თანამეგობრობის პრეზიდენტთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ბორის ელცინი იქნა არჩეული. ძალიან მოკლედ და არაგამაღიზიანებლად ვთქვი, რომ შუმეიკოს სპიკერები უკვე შევჩვიეთ... ერთი სიტყვით, შუმეიკოს ნაცვლად შევაქე რუსეთი. მისმა ოპონენტებმა მხრების აჩეჩით გადახედეს ერთმანეთს და ხმაც არავის გაუღია. როცა რუსეთში რუსეთს შეუქე რუსს არარუსი, ერთმანეთს რომ ხოცავდნენ, ისინი შენგან მა-

ინც კმაყოფილი რჩებიან. რა დასამალია, დაბალი პალატის წარმომადგენლებს მაღალი პალატის მაღალი თავმჯდომარე უშემეიკო მაინცა და მაინც არ მოსწონდათ. იმ სხდომაზე, როგორც ყოველთვის, კარგად გამოიტანა საკითხები საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, ქართლოს ღარიბაშვილმა.

სხდომა რომ მთავრდებოდა, საბჭოს ვუთხარი — გეპატივებით საქართველოს დარბაზში, ჩვენთან, სადაც პატარა გამოფენა გვაქვს ფაშოზზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი. ვიდრე დარბაზისაკენ წავიდოდით, ზიუგანოვი და მე პირისპირ შევჩრით ერთმანეთს შემთხვევით, ფანჯარასთან.

— Господин Андреевич, у меня к вам большие симпатии.

— У меня тоже к вам.

შემდეგ ყველანი ჩვენს დარბაზში შევედით, პატარა გამოფენა სტუმრებს შეასვენებდა გამარჯვების დიდ მეთაურზე, — აქ იყო სტალინის, მელიტონ ქანთარას სურათები, გადავიწყებული ჰქონდათ, რომ ცნობილი პლაკატი — Родина мать завет ქართველი მხატვრის - თოიძისაა. დარბაზში გრძელ მაგიდაზე ლამაზად ელაგა ქართული ღვინოები, ჩურჩხელები, ხილი. იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო, მაგრამ ოფიციალურ ქალაქებში, პეტერბურგშიც 15 მარტი მეწერა. ამიტომ არ მეგონა, თუ ვინმემ რამე იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ჩემს თანამემწეს გაუთქვამს. შუმეიკომ აიღო ჭიქა და მგონია ფაშოზის დამარცხება — დანარცხებაზე იტყვის სადღეგრძელოს, მე მადღეგრძელებს. შუმეიკომ მაჩუქა ბროლის დიდი ჭიქა. შევაფე და, ცხადია, დავლიე. ზატულინს თვალი დარჩა ზედ და გამოთქვა სურვილი ამ სასმისით დეღლია სადღეგრძელო. სიამაყით შესვა. შევაქე და ვუთხარი:


» Человек, который так охотно пет вино, рано или поздно он становится моим другом.

— С удовольствием, с удовольствием.

პოლიტიკური ყინულის გადნობისათვის არაოფიციალურ ნაწილს თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ერთმანეთს შორის მწვევად დაპირისპირებულები იყვნენ. მე არ მქონდა უფლება მათ შიდა კინკლაობაში ჩავეყოლიდი. არც მოგთხოვენ. შენ შენი ქვეყნის წარმომადგენელი ხარ, ისინი, დღეს პოლიტიკური მტრები, ხვალ შეიძლება ისევ პოლიტიკური ძმები იყვნენ, შენ კი ვერ აღიდგენ იმ პოლიტიკურ ძალებთან სრულ ურთიერთობას.

ვინაიდან ბატონი რედაქტორისაგან შეუზღუდავი უფლება მაქვს ხანდახან საკითხს საკითხი დავუკავშირო და „ათას ერთი ღამის ზღაპრით“ გაავარძელოთ სათქმელი, ერთ მნიშვნელოვან ამბავსაც გაიბობთ.

ისევ ამ მომბეზრებელი „ესენგეს“ შესახებ. ჩვენს პოლიტიკოსთა ნაწილში დღესაც ბობოქრობენ, რომ „ესენგე“ თითქოს რუსეთის იმპერიის რენიმაციისათვის შექმნეს რუსებმა. ძალიან ცდებიან, „ესენგეს“ კონცეფციას, მისი პოლიტიკა შექმნილია სწორედ იმ ძალების მიერ, რომლებიც ყოველგვარ პერსპექტივას ართმევენ ამ ქვეყნებს შორის მართლა ხელსაყრელ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ეს არის მოგონილი იმისთვის, რომ ამ ქვეყნებს შორის გათამაშდეს ბუტაფორიული სიახლოვის, ინტეგრაციის ბლეფი, თანდათან დაასუსტეს ეს ბუნებრივი სიმდიდრით უმდიდრესი ქვეყნები, რათა მათზე შეუზღუდავად იბატონოს ბუნებრივი სიმდიდრის უქონელმა, მაგრამ მდიდარმა ქვეყნებმა, ჯადოქრული ქალაქის პულტით დოლარით მართონ და დაიმორჩილონ უმდიდრესი აღმოსავლეთი. „ესენგე“ ერთი ეტაპობრივი გაერთიანება გახლდათ, უეცრად რომ არ დაწყებულიყო დიდი კატასტროფები. ის არის ერთგვარი, დროებითი შე-





# ინტერვიუ სტალინის ორკულთან

ერთი მშვენიერ დღეს რედაქციის კარი გაიღო და... არც მეტი, არც ნაკლები, ოთახში სტალინი შემოვიდა... არა ბატონებო, იგი არც საფლავიდან ამდგარს, არც იმ ქვეყნიდან მოსულს არ ჰგავდა, ჩვეულებრივი, ხორციელი ადამიანი გახლდათ. მსგავსება იოსებ ჯუღაშვილთან კი მართლაც ძალიან დიდი იყო! კიტელი, გალიფე შარვალი და ქუდი კიდევ უფრო აძლიერებდა ეფექტს. საუბრის სურვილი გამოთქვა და ჩვენც ვისაუბრეთ:



მინაილ მამულაშვილი სტალინის ბიუსტთან

— თქვენ სტალინის ალი-კვალი ხართ. მამათქვენი თუ ჰგავდა მას?  
— არა, მამაჩემი არ ჰგავდა.  
— თქვენ ამბობთ, რომ სტალინი ქიზიყიდან იყო წარმოშობით. როდის წამოვიდნენ მისი წინაპრები იქედან?  
— ბიძაჩემისაგან ვიცი, რომ სტალინის პაპა ვანოსთან გვექონდა ახლოობა, ვანო ბერუაშვილი ყოფილა. ქიზიყში სტალინის პაპა მდიდარ კაცთან მსახურობდა. მასთან უკმაყოფილება მოსვლია, მისთვის სახლ-კარი გადაუწვავს და იძულებული გამხდარა დასთან წასულიყო ლილოში. გამოუცვლია გვარი და ბერუაშვილიდან ჭულაშვილად დაწერია. გვარი ჭულაშვილი კი სოფლის სახელ ჭულანდიდან მოდის ან პირიქით. ვანოს შეეძინა შვილი ბერო ანუ ბესარიონი და იგი იყო მამა სტალინისა.  
— ახლავს რაღობაშივე შეამჩნიეთ რომ ჰგავდით სტალინს?  
— დიახ, ერთ-ერთ სურათში, რომელიც მე გადავიღე იგივე პოზაში როგორც სტალინი იყო ფოტოზე. მსგავსება დიდი იყო. ქუჩაშიც კი მაჩერებდნენ ხოლმე.  
— რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით ამ მსგავსებასთან დაკავშირებით?

ბით?  
— მასსოვს ტროლეიბუსში შემემთხვა ასეთი რამ: ბევრი ხალხი იყო, რაღაცაზე კამათი მოუვიდათ ქალებს და მეც ჩავერიე სიტუაციის განსამუხტავად, მომაქციეს ყურადღება და ერთ-ერთმა წამოიყვირა: — სტალინი! ზოგმა გაიცინა, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. მე კი საბოლოოდ დავრწმუნდი მსგავსებაში. 7-8 წლიდან მაცემვდა დედაჩემი სტალინის ფორმას, მანამდე სანამ გენერალ-სიმუსი გახდებოდა (ეს ფორმა არ მაქვს).  
— სტალინის ფორმით დადიხართ მთელი ცხოვრება?  
— თითქმის, ზამთრის კიტე-

ლიც მაქვს...  
— სამხედრო ფორმით რომ დადიხართ, პოლიციასთან გაუგებრობა ხომ არ შეგხვედრიათ?  
— გაუგებრობა არა, ბევრი მეკითხება იმის შესახებ, ვიყავი თუ არა სამხედრო მოსამსახურე.  
— სიმალლით რამდენი იყო 'სტალინი'?  
— 1 მეტრი და 62 სანტიმეტრი, მეც ასეთივე სიმალლია ვარ. სტალინი 21 ლეკემბერს დაიბადა და მეც.  
— თქვენ გარეგნულად ძალზე ჰგავხართ სტალინს, ხასიათით?  
— სტალინი არავის აშინებდა, ემინოდათ მისი კანონების, მას

არავინ დაუხვრეტია, კანონი ხვრეტდა ხალხს. თუ დაშავებდა, უნდა დაეხვრეტათ აბა რას იზამდნენ.  
— ე.ი. სტალინი თქვენ მიგაჩნიათ დიდ სულიერ წინაპრად?  
— როგორც შეგნებულნი ხალხი აფასებს, მეც ისევე ვარ.  
— შეიღებოთ თუ გყავთ?  
— ქალ-ვაფი, ქალიშვილი გათხოვდა, ვაფი უცოლოა.  
— შეიღებოთ თუ გასუვედურობენ სტალინის ფორმით რომ დადიხართ?  
— არც ცოლი ჩამირეგია და არც შვილები ერევიან ჩემს საქმეში.  
— არასოდეს მიუწვევინხართ კინოში, სტალინთან მსგავსების გამო?  
— დიახ, მაგრამ მე მსახიობი არ ვარ.  
— მოსკოვის გაზეთში ვიყავით ახსენეთ, როგორ მოხვდით იქ?  
— შაჰი კორეპონდენტი იყო ჩამოსული.  
— სტალინის შვილი თუ გინახათ?  
— ეგგენის შეგხვედრივარ. სვეტლანა ალილუევას გორლებმა ბინა და ავეჯი შეუძინეს გორში, მაგრამ იგი არ გაჩერდა. ერთხელ ვნახე, ავეჯის მალაზიაში შემხვდა.  
— რა რეაქცია ჰქონდა თქვენი დანახვისას?  
— გაუხარდაო ვერ ვიტყვი, ხომ იცით, რუსულ წესზე გაზრდილი ადამიანია.  
— სტალინის საზოგადოების წევრი ხართ?  
— დიახ.  
— ორი საზოგადოება ერთმანეთს ებრძვის, თქვენ რომლის წევ-

ვრი ხართ?  
— რომელსაც გრიშა ონიანი ხელმძღვანელობს. სტალინის დროს ბევრი დაიხვრეტა, შაჰი შორის ბიძაჩემს (ბენის ძმა) წაიხვედნენ მეთაფლიშენლი. მუშს კაცი იყო, მაგრამ ამაცი, მოთმინება არ ჰქონდა, ეს იყო მიზეზი. კაცს მოთმინება უნდა ჰქონდეს.  
— მოკლედ, ხალხი იხვრეტებოდა და სტალინი ანგელოსი იყო არა?  
— თქვენ რა, არ გიყვართ სტალინი?  
— არა!  
— ეწეინა, ამის შემდეგ დიდხანს აღარ გვისაუბრია, სტალინის ალი-კვალი, უბრალო და კეთილი, თან უცნაური გლენკაცი მიხეილ მეგულაშვილი რედაქციიდან გავიდა და სოფელში დაგვაბატიჟა, წამოით, ჩემ დაწურულ ღვინოს დაგაღვევინებთო.

ია ბუკოვსკაია ანა ჯუღელი



მს არ არის სტალინი, მს მამულაშვილია

## დუდაევი სოცხალია და ჩერნეთში დაბრუნდებო?

### რადუევი კი ნამდვილად იქაა...



ბაბი, რომელმაც თავს სალმან რადუევი უწოდა, სკანდალურ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 18 ივლისს ჩატარდა, უნდა ჩაითვალოს, რომ ნამდვილად რადუევია. ეს დასკვნა გამოიტანეს მოსკოვში ექსპერტებმა, რომელთაც მოუსმინეს მისი ხმის ჩანაწერს, რომელიც დაფიქსირებული იყო პრეს-კონფერენციის მსვლელობისას და მისი ბოვეიკების თავდასხმის დროს პერვომაესკოეში.

ოფიციალური ვერსიით რადუევი დაიღუპა მძიმე ჰრილობისაგან, რომელიც მან მიიღო ერთ-ერთი შეტაკების დროს. რადუევის მკვდრეობა აღდგომა საჭიროებს მომხდარი ფაქტების გამოძიებას.  
უფრო მეტ კითხვებს იწვევს რადუევის მიერ ყურანზე ფიცით დამოწმებული ნათქვამი იმის შესახებ, რომ ჯობარ დუდაევი ცოცხალია, საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფება და იჩქერის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ელოდება იმ მომენტს, როდესაც შესძლებს ისევ ჩაუდგეს სათავეში ჩერნოხომბის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.  
სანდო წყაროებიდან გახდა ცნობილი რადუევისა და დუდაევის გარშემო გავრცელებული ვერსია.  
მარტის შუა რიცხვებში გაიჩვენა, რომ ჩერნეთში მშვიდობის დასამყარებლად საჭირო გახდებოდა იმ პირთა წასვლა პოლიტიკური არენიდან, რომლებიც ომის მომხრენი იყვნენ. მიუღებლად იყო მიჩნეული დუდაევისა და ელცინის ურთიერთმოლაპარაკება. აჯანყებულთა მეთაურები, რომლებიც ტერორისტულ აქტებში იღებდნენ მონაწილეობას, უნდა „დაღუპულიყვნენ“, ან შინაური უთანხმოების დროს

გომ, მარტში გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანიდან თურქეთში და შემდგომ გერმანიაში, სადაც სამხედრო პოსტიტალში მოათავსეს. აპრილის თვეში და მისის დასაწყისში მან სამი ოპერაცია გადაიტანა და გადიოდა რეაბილიტაციას.  
აპრილში ცოცხალმა და უჩინარმა დუდაევა იგივე გზა გაიარა რაც რადუევა. ჩაყვანილ იქნა დაღესტანში ავტომობილით, რომელსაც შინაგანი ჯარები აცილებდნენ. გერმანიაში იგი მოათავსეს ნატოს ბაზაში, ბავარიაში, მიუნხენთან ახლოს. მას გადაადგილება შეეძლო მხოლოდ სამხედრო ობიექტის ტერიტორიაზე, რამდენჯერმე მხანველებმა მოაკითხეს. გამოჩანმართებული რადუევი დუდაევა რამდენიმეჯერ მიიღო ივნისის თვეში. რადუევი ამტკიცებს, რომ ჩამოიტანა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ მისი და დუდაევის შეხვედრის ფაქტს გერმანიაში. არის ნიდადაგი იმის საფიქრებლად, რომ რადუევი მართლაც აქვს აუდიოჩანაწერები და ფოტოები ჩერნეთის ლიდერთან შეხვედრისას სამხედრო ბაზაში მიუნხენთან. ეს დოკუმენტები გამოქვეყნდება მალე, თუ დუდაევის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. თუ ეს ისტორია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ამერიკელების და მათი მოკავშირეების როლი ძალზე ორაზროვანია და ისინი შესაძლებელია შეეცადონ წყნარად მოიშორონ თავიდან დაუბატიებელი სტუმარი.  
ალექსანდრე ლიასკო ბაზეთი „კომსოგოლსკაია პრავდა“.

თურქული აკომიდან

## რუსის ქალები თურქეთში

გოსტნეულით მოვაზრა სალიკმა სამი ნატაზა ერთ საფოლზე დააწვინა

მე, თვალი დაუფა ფულსა; როცა მიდიონობით მამაკაცი ქუჩებს უაზროდ ზომავს, მიღიარდელმა ბოსტნეულის გადაწყვიდეგმა, ვინმე სალიკმა სამ ნატაზას ბლომად ფული ჩაუვარა და წაიყვანა თავისი ზრახვების აღსასრულებლად; მაგრამ ვაი, რომ პოლიციამ პირველსავე ჯერზე ჩააგლო.

გვიანი მეზობლებისაგან ჩაშვებულმა სალიკმა პოლიციელებს მუდარით მიმართ: „ნუ წამიყვანთ ძებო, ფული წყალში გადაწყვიტეთ“. ამ ხვეწნა-პუდარის მიუხედავად სალიკი პოლიციაში მიამბრანეს. იქ მან განაცხადა, რომ ჩემს შანსს (ამ საქმეში) მომაგაღწიო მე კვლავ გვცლო.


რაც შეეხება პრიგადული წესით მომუშავე რუსის ჯილავის ქუჩის ქალებს, ისინი ქვეყნიდან გამოაპანდურეს.

(თურქული ბაზეთი „Super TAN“ 1/VII 1996)



# იუმორის გვერდი

# — წუთმუსკევები



არც რა მიშველა ტირილმა,  
 არცა ცრემლების დენამა,  
 მიშველა ისევ სიცილმა,  
 ლაქარდიანმა ენამა.

## სანდრო ბავშვობაში

სანდროს დედა პელაგია 28 წლის დაქვრივდა, დარჩა 5 ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ყველაზე უმცროსები სანდრო და მამაჩემი (სერგო) იყვნენ. მათ შორის ერთი წელი იყო განსხვავება. სანდრო ბავშვობაში ცელქი და მოუსვენარი იყო, ჩაგრავედა სერგოს. მაგონდება ბებიას სიტყვები: „ერთ ბატარა კოკორ მჭადს გამოვაცხოვბდი, მივცემდი სანდროს, ვეტყოდი, აბა, გაიყავით შუაზე! სანდრო გატეხავდა, ხელით აწონ-დაწონიდა და მისი აზრით რომელიც უფრო მჩატე იყო, სერგოს მისცემდა, ხოლო მძიმეს თავისთვის დაიტოვებდა“. სანდრო და სერგო ბატარაობისას ქუთაისის ქუჩებსა და ეზოებში მართავდნენ წარმოდგენებს. მახსოვს, მამა მიყვებოდა: ჩავიცვამდით სხვადასხვა ტანისამოსს, გავიმურავდით სახეს, შევისვამდი სანდროს ზურგზე და სხვადასხვა შეძახილით და ჟესტ-მიმიკით მაყურებელს სიცილით ვხოცავდითო. ხშირად გასამრჯელოსაც ვღებულობდით, ხან ფულს, ხან პროდუქტებს, ამით ხელმოკლე ოჯახს, ქვრივ ნენას (ასე ეძახოდნენ დედას) ვეხმარებოდითო.



## სანდრო შორშოლიანი და მიცვალებულები

სანდროს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა — არ უყვარდა იქ შესვლა, სადაც მიცვალებული ესვენა. ამისთვის ბევრი ნათესავი ემდუროდა კიდევ. მე ვარწმუნებდი ყველას, რომ სანდროს ასეთი ხასიათი აქვს და მომყავდა მაგალითი: დედა რომ გარდაეცვალა, პანაშვიდის დროს ოთახში არ ჩერდებოდა: — რა მინდა, ახლა მაგ ოთახში რომ გამოვიჭიმო, — უთხრა მამას, — შენ იყავი მანდ და მე აგერ მეორე ოთახში გავჩერდებიო. ვისაც უნდა, აქაც მოვა ჩემთან სამძიმარზეო. ბებია ისევ გაასვენეს, ოთახში არც შემოსუ-

ლა. მეორე დღეს ყვარყვარე თუთაბერი ითამაშა და ჩვეული იუმორით აცინა მაყურებელი. გულში კი რა ცეცხლი უტრიალებდა.

## სანდრო წისქვილში

ბებია სანდროსა და სერგოს ხშირად წისქვილში საფქვავს ატანდა. წისქვილამდე კარგა შორი იყო. შუა გზაზე ჰა ხვდებოდათ. ჰამდე ერთ მათგანს მიჰქონდა საფქვავე, ჰიდან სახლამდე კი მეორეს. გზაში საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ. ერთხელ მამაჩემს დაუწყია ამბის მოყოლა და ისე გართულან, რომ სანდროს საფქვავე შეუსვენებლივ უტარებია. მხოლოდ სახლთან შეუნიშნავს ეს და გაბრაზებული: შენ განგებ მომიყვები ასეთი საინტერესო ამბავი, რომ საფქვავე მე მეთრიაო. დაბრუნებულა უკან, ჰასთან მიუტანია საფქვავე და უთქვამს — ახლა შენ ათორიე აქედანო. თვითონ კი გაქცეულა.

## „არ ვარ მე, ბიძია“...

ფლებს თავის მიჰქონდათ. სანდრო მტკივნეულად განიცდიდა ასაკს, თუმცა, სიბერეს არ გრძნობდა, ენერგია შემორჩა. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ახალ როლს სწავლობდა. 80 წლის იუბილეზე მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, ხშირად რომ იმეორებდნენ მის წლოვანებას: — არ ვარ, ბატონო ჯერ 80 წლის, 3 დღე მაკლიაო.

ერთ საღამოს მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი ამხანაგებთან ერთად. შესვენებისას ფოიეში სანდრო დადინახე თაყვანისმცემლებით გარემორტყმული. ყოველთვის მემამყებოდა ასეთი ბიძა. მივუახლოვდი: „სანდრო ბიძია, როგორ ხარ“-მეთქი. ახალგაზრდებს გამოეყო, განზე გამოიხმო და მითხრა: — რაა, ამდენ ხალხში და ქალებში, ბიძია, ბიძია, დაგიჩემებია, ამხელა ქალს სხვა არ შეგიძლია დამიძახო?

— აბა, რა დაგიძახო, ბიძია ხარ და!.. ვიწყინე მე.

— ბიძია რომ ვარ, ისეც ვიცი. ხალხში სანდრო დამიძახე, ან ალექსანდრ მაქსიმოვი!

## ვერიკო ანჯაფარიძის იუბილეზე

პრემიერ მარჯანიშვილის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძის იუბილე მზადდებოდა. მსახიობებმა ფული შეაგროვეს, რომ რაღაც სამახსოვრო საჩუქარი ეყიდათ. სანდროსთან რომ მივიდნენ, სანდრომ უთხრა, მე გაცივებული ვარ ძალიან, მამცხიკვებს, ხომ ხედავთ, მე ვერ მოვალ და რა საჭიროა, ფული დავდოვო. (ასეთი წუწურაქი იყო საწყალი). ასე გაისტუმრა. მე რე, საიუბილეო საღამო რომ ჩატარდა და სუფრას მიუსხდნენ, იყო ერთი ცეკვა-თამაში და ქეიფი, სან-

# მოგონებები სანდრო შორშოლიანზე

რუბრიკის დღეგანდელი ნომრის სტუმარია სანდრო შორშოლიანის კმისუბილი. იუმორისტი ქ-ნი

თინა შორშოლიანი



დროც გამოცხადდა. ერთი ცალი ყვავილით მივიდა და დაჯდა სუფრასთან. უორა შავგულიძემ რომ დაინახა, უთხრა, შე კაცო, ავად არ იყავი, რანაირად მოახერხე მოსვლაო (ისიც კარგი ოხერი იყო). — დავლიე ბატონო, ასპირინი, ანალგინი და ჰე გამიარაო. რავე არ მევიდოდი, ახლა, რას ლაპარაკობ, ვერიკოს იუბილეზე არ მოვიდოდიო?! — შეიცხადა და მიუჯდა სუფრას.

## ათასწლოვანი „პონჩიკები“

ისმ, რაკი ბიძაჩემის წუწურაქობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ამასაც გავიხსენებ. სკოლის მე რე, ხშირად მივდიოდი ხოლმე მარჯანიშვილის თეატრში, სპექტაკლებზე. რომ გამოვდიოდი იქიდან, მშოილა ხანდახან და ვეტყოდი ხოლმე სანდროს (იქვე, ცხელ „პონჩიკებს“ ყიდდნენ), მიყიდე-მეთქი, სანდრო ბიძია, პონჩიკი, მშოია. სანდროს არ უნდოდა, რომ ეყიდა და მეუბნებოდა: ხო არ გადიო რე შენ, რამდენი წლისაა იცი, ეგ ხორცი, მამაშენი მომკლავს, რო მიწამლოვო. მე რე გა მოვივლოდა ან შალვა ლამბაშიძე ან ვინმე და მეტყოდა, მოდი, თინა, ბიძია, მე გიყიდიო და ყიდულობდა.



## კიევური საჩუქარი

პრემიერ კიევში წავიდა, დააჭილდოვებს მაშინ რამოდენიმე მსახიობი და წასვლისას მითხრა: რა გიყიდა ახლა, ბიძია, მითხარი, ოღონდ ძვირიანი არ მითხრა, ძვირიანს ვერ გიყიდიო. მე ვუთხარი: ერთი საკაბე მიყიდე, ბიძია-მეთქი. მართლაც ჩამომიტანა „საკაბე“ და რომ გავხსენი, ზუსტად იმხელა იყო, აბაქური გამოგვივიდა საძინებელ ოთახში.

## მამსიმიჩის ანდერძი

ბარდაცვალებისას ანდერძი რომ დატოვა, ვიფიქრე, მის ქალიშვილს დინარასთან ერთად მეც დამიტოვებდა რაიმეს, ფულს ან ნივთებს, გავხსენით ანდერძი და აღმოჩნდა, რომ ჩემთვის დაუტოვებია მხოლოდ ცხვირი და იუმორი. ხოდა ცხვირი მართლაც კი მიმიგავს სანდროს ცხვირს და იუმორი ხომ მთელი ცხოვრება ჩემს საქმიანობად იქცა. და ძალიან კმაყოფილიც კი დავრჩი ამ ანდერძით.

\*\*\*

ქუჩაში რომ გავივლიდა, მის დანახვაზე ხალხი დაუფარავად იცინოდა და ხარხარებდა. ეე!.. კოსტაია მოდის, კოსტაიაო!.. ამაზე საშინლად ბრაზდებოდა და ერთხელ მითხრა, რომ მოგკვდები, სახეზე არ გადამხადოთო. რატომ, ბიძია-მეთქი. რატო და დაწყდება ხალხი სიცილითო. მართლაც შევესრულე მე რე ეს თხოვნა. 24 ივნისს სამუდამოდ წავიდა სანდრო — „მაქსიმოვი“ ჩვენგან.

პირველად იყო, რომ არავის ეღიბებოდა მის შეხედვებზე.

მოამზადა  
 ლელა კოდალაშვილმა

